2024

თბილისი

მოტო დრაგი

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

მოტო დრაგი

აღნიშნული ღონისძიების ჩატარების მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს:

- მოტომოყვარულთა მართვის დონის ამაღლება
- სწორი მიმართულებით განვითარების საშუალება
- საზოგადოებაში ინტერესის გაჩენა და მეტი ჩართულობა
- მოტოსამყაროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა და სფეროს მეტად გააქტიურება
- ქუჩის არალეგალური რბოლებიდან გადმონაცვლება და ადრენალინის სწორი, კანონზომიერი დახარჯვის საშუალება
- მონაწილეთა შორის უძლიერესი მოტომოყვარულის გამოვლინება
- მოტო სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და ზოგადად ცნობიერების ამაღლება

ღონისძება ტარდება ორგანიზატორების მიერ წარმოდგენილი რეგლამენტის მკაცრი დაცვით.

<u>შეჯიბრის ჩატარების ადგილი და დრო</u>

მიმდინარე წლის 2 ივნისი 13:00 საათზე იგეგმება ღონისძიება მოტო დრაგი ეტაპი I,

შეჯიბრი ჩატარდება რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე 402 მეტრიან დისტანციაზე ხოლო მანდილოსნების კლასისთვის შეადგენს 300 მეტრს.

<u>ღონისძიებაში არსებული კლასები:</u>

ჩემპიონატი მოიცავს ექვს (6) კლასს:

1. **კლასი: 640cc - მდე :**
    - 299cm³-დან 640 cm³-მდე 4 ტაქტი 4 ცილინდრი
    - 299 cm³-დან 690 cm³-მდე 4 ტაქტი 3 ცილინდრი
    - 299 cm³-დან 890 cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი
2. **კლასი: 640cc - მდე დაგრძელებული ბაზით :**
    - 299cm³-დან 640 cm³-მდე 4 ტაქტი 4 ცილინდრი
    - 299 cm³-დან 690 cm³-მდე 4 ტაქტი 3 ცილინდრი
    - 299 cm³-დან 890 cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი
3. **კლასი: 640cc-დან 1040cc-მდე :**
    - 640cm³-დან 1040cm³-მდე 4 ტაქტი 4 ცილინდრი
    - 680 cm³-დან 1103 cm³-მდე 4 ტაქტი 3 ცილინდრი
    - 890 cm³-დან 1301cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი
4. **კლასი: 640cc-დან 1040cc-მდე დაგრძელებული ბაზით :**
    - 640cm³-დან 1040cm³-მდე 4 ტაქტი 4 ცილინდრი
    - 680 cm³-დან 1060 cm³-მდე 4 ტაქტი 3 ცილინდრი
    - 890 cm³-დან 1301cm³-მდე 4 ტაქტი 2 ცილინდრი
5. **კლასი: 1040cc-დან (აბსოლუტი) :**
    - 1040cm³-დან 4 ტაქტი 4 ცილინდრი
    - 1060cm³-დან 4 ტაქტი 3 ცილინდრი
    - 1301cm³-დან 4 ტაქტი 2 ცილინდრი
6. **კლასი: მანდილოსანი (ნებისმიერი კუბატურა)**

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

კლასში მაქსიმალური მონაწილეთა რაოდენობა 16, თუ კლასში 6 მონაწილეზე ნაკლები დარეგისტრირდება მაშინ კლასი გაუქმებულად ჩაითვლება (გაუქმებულ კლასში დარეგისტრირებულ მონაწილეს, ლიცენზიის ასაღებად გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდება).

ღონისძიების პირობები:

მონაწილეთა აუცილებელი ეკიპირება:

- სრული სახის დამცავი ჩაფხუტი "FullFace"
- ქურთუკი ხერხემლის დამცავით (ან ზურგის დამცავი, იდაყვების დამცავთან ერთად)
- ხელთათმანები
- სამუხლე დამცავი

მოტოციკლი:

მონაწილე ვალდებულია მისი სარბოლო მოტოციკლი აღჭურვილი იყოს:

- ✓ წინა ცენტრალური და გვერდითი ქარხანა-დამამზადებლის მიერ წარმოებული, მყარად დამაგრებული/დაფიქსირებული პლასტმასის ვიზუალით
- ✓ წინა და უკანა ქარხნულად განკუთვნილი სამუხრუჭე სისტემით აღჭურვილი
- ✓ დაშვებულია ქარხნული, დრაგ რეისინგისთვის ნაწარმოები დამჭიმი/დამაფიქსირებელი საშუალებების გამოყენება
- ✓ ასევე დაშვებულია როგორც ძრავის ტუნინგი, გამშვები სისტემის, ქანქარას დაგრძელება, სპეციალური საბურავების დაყენება, დასაშვები მინიმალური კლირენსი განისაზღვერება მძღოლთან ერთად არა ნაკლებ 50 მმ - სა და სხვა ნებიმიერი დეტალის გაუმჯობესება.

! ! ! დაუშვებელია :

- არაქარხნული, ხელნაკეთი ღვედური სისტემით მოტოციკლის ამორტიზატორის ან რომელიმე დეტალის დაჭიმვა/დაფიქსირება
- არა დაჭიმულ მდგომარეობაში მქონე წამყვანი ჯაჭვით სარბოლე ბილიკზე მოძრაობა
- დაუშვებელია ჩანგლისებრი დამაკავშირებელის გამოყენება ჯაჭვზე
- დაუშვებელია ძრავის რომელიმე ხუფიდან ან ძრავთან დაკავშირებული რომელიმე ადგილიდან ზეთის ან რაიმე სხვა სითხის გაჟონვა
- დაუშვებელია ნებისმიერი ამორტიზატორიდან ზეთის ან სხვა სითხის გაჟონვა
- რომელიმე საბურავში 0.6 ბარზე დაბალი ჰაერის წნევით სარბოლო ბილიკზე მოძრაობა

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

შეჯიბრის წესები:

1. ღონისძიებაში მონაწილე მრბოლელი სავალდებულოა გამოცხადდეს მიმდინარე წლის 2 ივნისს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე 10:00-დან 12:00 საათამდე ადმინისტრაციული და ტექნიკური კონტროლის გასავლელად.
2. მრბოლელთა დაწყვილება მოხდება სპეციალური დამაწყვილებელი ნომრების შემთხვევითი ამოღების პრინციპით.
3. სტარტი: მსაჯის მითითებით და სპეციალურად დამონტაჟებული შუქნიშნით/პრომო გოგონა
4. ფინიში: ზოლის გადაკვეთით.
5. სასტარტო ხაზთან მრბოლელს შეუძლია გაიყოლოს ერთი დამხმარე ადამიანი.
6. პირველი წყვილის ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ სასტარტო ზოლთან დგება შემდეგი წყვილი და ახდენს სტარტს პირველი წყვილის დაბრუნებამდე.
7. გამყოფი ზოლის გადაკვეთა, სარბოლო მონაკვეთზე მოტრიალება ან დადგენილი ტრაექტორიისგან ნებისმიერი გადახვევა ისჯება დისკვალიფიკაციით.
8. ნებისმიერი არასპორტული საქციელი ან მსაჯისადმი დაუმორჩილებლობა ისჯება დისკვალიფიკაციით.
9. მრბოლელის მიერ ჩაფხუტის გარეშე გადაადგილება ან/და ექსტრემალური გადაადგილება (Wheelie, Drift, Stopie) ისჯება დისკველიფიკაციით.
10. კონკრეტულ გარბენზე ნაადრევი სტარტის (ფალ სტარტი) ორჯერ გამეორების შემთხვევაში მონაწილეს ეთვლება წაგება.
11. სტარტზე მოტოციკლის გაუმართაობისას მწყობრში მოსაყვანი დრო არის 15 წუთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება წაგებად.
12. მონაწილეს უფლება აქვს გამოთქვას პროტესტი მხოლოდ წერილობითი სახით მთავარი მსაჯის სახელზე შეჯიბრის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში.
13. პროტესტის საფასური შეადგენს 150 ლარს.
14. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე ჩაფხუტის გარეშე მოტოციკლით ან სკუტერით ნებისმიერი გადაადგილება დაუშვებელია.

რეგისტრაცია და საფასური:

- ღონისძიებაზე რეგისტრაციისთვის, მრბოლელი ვალდებულია დარეგისტრირდეს სასურველ კლასში ფედერაციის ვებგვერდი **motofederation.ge** - ზე
- რეგისტრაცია მოხდება როგორც წინასწარ ასევე ღონისძიების დღეს,
- წინასწარი რეგისტრაციის ღირებულება შეადგენს 100 ლარს თითოეულ კლასში და დასრულდება მიმდინარე წლის 1 ივნისს 20:00 საათზე , ხოლო ღონისძიების დღეს რეგისტრაციის თანხა შეადგენს 200 ლარს თითოეულ კლასში და დასრულდება 2 ივნისს 12:30 სათზე. ანგარიშსწორება მოხდება მხოლოდ საბანკო გადარიცხვით.
- ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა პირს გააჩნდეს **A** ან **A2** კატეგორიის მართვის მოწმობა.
- ერთ მრბოლელს შეუძლია გამოვიდეს სხვადასხვა კლასში, თუ ფლობს შესაბამის ტექნიკას.
- დაუშვებელია ორმა სხვადასხვა მრბოლელმა მიიღოს მონაწილეობა ერთი მოტოციკლით ერთი და იგივე კლასში.
- ორგანიზატორს უფლება აქვს დრაგის მოთხოვნების და წესების თანახმად მონაწილეს შეუცვალოს კლასი.
- მსაჯებს უფლება აქვთ დისკვალიფიკაცია მისცენ იმ მონაწილეებს, რომლებიც არ ემორჩილებიან დრაგის წესებს.

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge

ქულათა გადანაწილება:

ადგილი I - 20 ქულა
ადგილი II - 18 ქულა
ადგილი III - 16 ქულა
ადგილი IV - 14 ქულა
ადგილი V - დან ყველა მონაწილეს 8 ქულა
ყოველ მოგებულ გარბენში, მრბოლელი მიიღებს დამატებით 1 ქულას
ყოველი შესაბამისი ჯგუფის მოგების შემთხვევაში, მრბოლელი მიიღებს დამატებით 1 ქულას
თითოეულ ეტაპზე დარეგისტრირებისთვის მრბოლელი მიიღებს დამატებით 1 ქულას

დაჯილდოვება:

დაჯილდოვება ყველა კლასში მოხდება ღონისძიების დასრულების შემდეგ. თითოეულ კლასში პირველ სამ ადგილზე გასულ მრბოლელს გადაეცემა მედლები, სიგელები, თასები.

თითოეულ კლასში საქართველოს ჩემპიონის გამოვლინება მოხდება, ორივე ეტაპის შედგენილ კლასებში მონაწილე მრბოლელების დაგროვილი ქულებით

საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაცია ს/ნ 406108796
ქ. თბილისი გ.შატბერაშვილის 4 ბ. 80, მობ: +995 579 29 29 49, ელ-ფოსტა: info@motofederation.ge